

თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი
2018 წლის ანგარიში ჩატარებული კვლევების შესახებ

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარდა კვლევები :

- **სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვა მატერიალურ რესურსებთან მიმართებაში**

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვა მატერიალურ რესურსებთან მიმართებაში. კვლევამ აჩვენა, რომ ორივე მხარე დაწესებულების ძლიერ მხარედ, კვლევის მიხედვით, მიიჩნევს პროფესურას, შემდგომ უკვე მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, რომელიც აკმაყოფილებს სასწავლო უნივერსიტეტის სტანდარტებს. ორივე მხარე თვლის, რომ მოქმედი პროგრამები არის თანამედროვე, მოთხოვნადი შრომით ბაზარზე, ადმინისტრაცია ყურადღებით ეკიდება სტუდენტებისა და პერსონალის მიერ დაყენებულ საკითხებს, სახავს ადექვატურ ღონისძიებებს მათ გადასაჭრელად. სტუდენტებს გააჩნიათ სურვილი დაემატოს კომპიუტერები.

- **დამსაქმებელთა გამოკითხვა პროგრამების განვითარების მიზნით**

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა კვლევა პოტენციურ დამსაქმებლებთან.

ბიზნესის ადმინისტრირების(საბაკალავრო, სამაგისტრო)პროგრამის მიმართულებით ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა, რომ პოტენციური დამსაქმებლები იწონებენ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შინაარსს, არქიტექტონიკას, თვლიან, რომ პროგრამა უზრუნველყოფს საჭირო კომპეტენციების ჩამოყალიბებას და სასურველი შედეგის მიღწევას. მათ აღნიშნეს, რომ განიცდიან გაყიდვების დარგის სპეციალისტების ნაკლებობას, ამიტომ აქვთ სურვილი ამ დარგის შემსწავლელი სასწავლო კურსების ხვედრითი წილის მომატების საბაკალავრო პროგრამაში. აგრეთვე, მათ აქვთ მოთხოვნა რომ ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს ჰქონდეს ინოვაციური ბიზნესისა და მომხმარებელთან კომუნიკაციის ზოგადი პრინციპების ცოდნა. ისინი თვლიან, რომ კურსდამთავრებულებს არ აქვთ სათანადო პრაქტიკული გამოცდილება და პროფესიული უნარ-ჩვევები. ამიტომ ხშირად უწევთ კურსდამთავრებულების გადამზადება დასაქმების შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად.

ამის გათვალისწინებით დაისახა ღონისძიებები სასწავლო პროგრამაში შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსების დამატების შესახებ.

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამის მიმართულებით ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა, რომ პოტენციური დამსაქმებლები იწონებენ პროგრამის შინაარსს, არქიტექტონიკას, თვლიან, რომ პროგრამა უზრუნველყოფს საჭირო კომპეტენციების ჩამოყალიბებას და სასურველი შედეგის მიღწევას. მათ აღნიშნეს, რომ კურსდამთავრებულს ჰქონდეს უფრო მეტი კლინიკური უნარ-ჩვევები, იცოდეს სალაპარაკო ინგლისური ენა, რადგან სტომატოლოგიურ კლინიკაში ხშირად შემოდის უცხოელი ტურისტები, სტუდენტები, ზოგადად უცხოელი პაციენტები სხვადასხვა ჩვილებით და დღის წესრიგში დგება ინგლისური ენის სათანადოდ ფლობის საკითხი მათთან ეფექტური კომუნიკაციის დასამყარებლად.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიმართულებით ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა, რომ რომ პოტენციური დამსაქმებლები იწონებენ პროგრამის შინაარსს, არქიტექტონიკას, თვლიან, რომ პროგრამა უზრუნველყოფს საჭირო კომპეტენციების ჩამოყალიბებას და სასურველი შედეგის მიღწევას. პოტენციური დამსაქმებლებს აქვთ რეკომენდაცია, რომ გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტის ხვედრითი წილი .

- საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების ხელშეწყობის მიზნით ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ პროფესურა იწონებს იმ აქტივობებს, რომელიც უნივერსიტეტს გააჩნია აღნიშნული კუთხით. საანგარიშო პერიოდში სერვისების განვითარების სამსახურის ხელშეწყობით, ერთობლივი სამეცნიერო კვლევების წარმართვისა და საერთაშორისო საგრანტო პროექტებში ჩართვის ხელშესაწყობად, უნივერსიტეტის სტუდენტებმა და პროფესორებმა მონაწილეობა მიიღეს რეოლოგთა მულტიდისციპლინურ კონფერენციაში; სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების განსახორციელებლად უნივერსიტეტში საჯარო ლექცია ჩატარეს პარტნიორი უნივერსიტეტის - ჩეხეთის კარლის უნივერსიტეტის ენის ინსტიტუტის პროფესორებმა ზდენკა პრაჟაკოვამ და ვერა ჰოფმანოვამ; ავსტრიის კავკასიოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ადამ ლამბერდმა.

უნივერსიტეტში კვლევების წარმართვისა და სამეცნიერო-აკადემიური აქტივობების განსახორციელებლად, შექმნილია იურიდიული კვლევების ცენტრი(ხელმძღვანელი ქ-ნი ეკა ბესელია), ბიზნეს კონსალტინგ ცენტრი (ხელმძღვანელი პროფ. აიდა ქიტაშვილი),ჯანდაცვის მიმართულებით მიმდინარეობს ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებისა და იმუნოსტიმულატორების კვლევა (ასოც. პროფ. ანა მამაცაშვილი, ნათელა გოგებაშვილი).

კვლევის შედეგები 2017 წელს,

-

-
-
- საერთაშორისო კვლევების წარმართვისა და ერთობლივი სამეცნიერო-აკადემიური აქტივობების განსახორციელებლად, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გასაფორმებლად, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია საანაგარიშო პერიოდში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა უკრაინის უმაღლესი სასწავლებლების-კიევის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და საერთაშორისო საავიაციო უნივერსიტეტის ხელმძღვანელებთან. გაფორმდა ხელშეკრულებები თდასუ-სა და აღნიშნულ უნივერსიტეტებს შორის. დაისახა მიზანი ერთობლივი კვლევების, სამეცნიერო კონფერენციების, ერთობლივი სამეცნიერო ჟურნალების გამოცემის შესახებ.

2018 წელს, XIX საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს პარტნიორი უნივერსიტეტების უცხოელმა პროფესორებმა ბიზნესის ადმინისტრირებისა და სამართლის მიმართულებებით, რომლებმაც წარმოადგინეს შემდეგი ნაშრომები:

- Дмитрий Александрович Беззубов
ТЕОРИЯ ОБЩЕСТВЕННОЙ БЕЗОПАСНОСТИ В СОВРЕМЕННОМ АДМИНИСТРАТИВНОМ ПРАВЕ;
- Александра Тунтула
НОВАЯ ДОКТРИНА СТУПЕНЧАТОГО СУЩНОСТНОГО ВИДОВОГО ДЕЛЕНИЯ СУБЪЕКТИВНЫХ ИСТОЧНИКОВ АНТИКРИМИНАЛЬНЫХ СВЕДЕНИЙ;
- VIKTOR LADYCHENKO
ENVIRONMENTAL INFORMATION POLICY IN UKRAINE AND THE EU;
- Надежда Армаш
РАВЕНСТВО ГРАЖДАН УКРАИНЫ ВО ВЛИЯНИИ НА ДЕЯТЕЛЬНОСТЬ ОРГАНОВ ПУБЛИЧНОЙ ВЛАСТИ;
- Ирина Слободская
ОТВЕТСТВЕННОСТЬ ЗА АДМИНИСТРАТИВНЫХ ПРАВОНАРУШЕНИЯХ В ОБЛАСТИ ГРАЖДАНСКОЙ АВИАЦИИ;
- Игорь Копотун
Способы получения информации в уголовно-исполнительных учреждениях Украины;
- Анна Дигтяренко
ОСНОВНЫЕ ЭЛЕМЕНТЫ ТРУДОВОЙ ФУНКЦИИ РАБОТНИКА;
- Андрей Владимирович Боровик, Иван Александрович Колб
О НЕКОТОРЫХ ПРОБЛЕМАХ ПРАВОВОГО ХАРАКТЕРА, ВЛИЯЮЩИХ НА СОСТОЯНИЕ БОРЬБЫ С КОРРУПЦИЕЙ В СФЕРЕ ИСПОЛНЕНИЯ НАКАЗАНИЙ УКРАИНЫ;
- Александр Григорьевич Колб, Сергей Александрович Колб
О НЕКОТОРЫХ ПРОБЛЕМАХ ПРОФИЛАКТИКИ КОРРУПЦИИ В УКРАИНЕ И ПУТЯХ ИХ РЕШЕНИЯ ПО СУЩЕСТВУ;
- Liudmyla Golovko
Legal Regulation of Protection of Children's Rights in Ukraine and the EU Member States: Comparative Analysis;
- N.V. Trotsiuk

COPYRIGHT PROTECTION ON THE INTERNET: DIRECTIONS TO IMPROVE THE LEGISLATION;

- Александр Кириченко
СИСТЕМА НОВЫХ ДОКТРИН И КОНЦЕПЦИЙ ПРАВОВОГО СТАТУСА СОЦИОСУБЪЕКТОВ;
- Юлия Ланцедова
ИННОВАЦИОННАЯ КЛАССИФИКАЦИЯ ЮРИДИЧЕСКИХ НАУК;
- Валерий Петков
Государство и общество в условиях глобализации преступности как явления: социальный аспект;
- Сергей Анатолиевич Комиссаров
Обеспечение публичного порядка – международная практика;
- Сергей Владимирович Сахнюк
ОСОБЕННОСТИ ПРИМЕНЕНИЯ СТ.69 УГОЛОВНОГО КОДЕКСА УКРАИНЫ ПРИ ЗАКЛЮЧЕНИИ СОГЛАШЕНИЙ В УГОЛОВНОМ ПРОЦЕССЕ.

დაგეგმილი ღონისძიებები და განსახორციელებელი აქტივობები:

- გაგრძელდეს საერთაშორისო თანამშრომლობა უცხოელ პარტნიორებთან
- გაფორმდეს ახალი ხელშეკრულებები
- გაღრმავდეს სამეცნიერო-კვლევითი ურთიერთობები აღნიშნულ უნივერსიტეტებთან.
- **ბიბლიოთეკაში არსებული გარემოს, რესურსებისა და მომსახურების კმაყოფილების შესახებ**

ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა რომ ბიბლიოთეკაში არსებული ინფრასტრუქტურა ადექვატურია, სასწავლო - სამუშაო გარემო კარგი, ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია ინტერნეტითა და კომპიუტერით, საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობის პროცედურებზე და მარეგულირებელ აქტებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია, ბიბლიოთეკაში არის თანამედროვე ლიტერატურა, პერიოდული გამოცემები, ახალი სახელმძღვანელოები, საჭირო მასალები, რომლის შექმნას დროულად უზრუნველყოფს ადმინისტრაცია; პერსონალი კეთილგანწყობილია და ეხმარება სტუდენტებს.

- **კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები მათ კარიერულ და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით**

უნივერსიტეტს ახალი ავტორიზაციისა და ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში ჰყავს 10 კურსდამთავრებული,

რომლებსაც მინიჭებული აქვთ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. მათი აბსოლუტური უმრავლესობა (100%) დასაქმებულია კონკრეტულად ბიზნესისა და ტურიზმის სფეროში. ამ ეტაპზე სწავლის გაგრძელება მაგისტრატურაში განახორციელა მხოლოდ ერთმა კურსდამთავრებულმა. დანარჩენები მომავალში აპირებენ აკადემიურ წინსვლას. ამ ეტაპზე ისინი ამჯობინებენ პრაქტიკულ სფეროში მუშაობას, მათი ნაწილი დაკავებულია საკუთარი/ოჯახური ბიზნესით.

- **სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები**

საანაგრიშო პერიოდში განხორციელდა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, რომელიც მოიცავდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტების დასწრებას ლექციებსა და ჯგუფში მუშაობის საათებზე, შუალედურ, დასკვნით, დამატებით გამოცდებზე. აღნიშნულმა კვლევებმა და მათმა ანალიზმა გამოავლინა შემდეგი შედეგები:

- **ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა:**

სასწავლო კურსებზე სტუდენტთა დასწრებისა და აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი იყო საშუალო, რასაც სტუდენტები ხსნიდნენ იმით, რომ მათი დიდი ნაწილი მუშაობს ცვლებში და შესაბამისად, ვერ ახერხებს ლექცია-პრაქტიკულ მეცადინეობებზე ყოველდღიურ დასწრებას. სტუდენტები კმაყოფილებას გამოთქვამენ ლექციების ხარისხის გამო, სასწავლო კურსებში საშუალო აკადემიური მაჩვენებლებს ისინი ხსნიან იმით, რომ სამსახურებრივი მოუცლელობის გამო ნაკლები დრო რჩებათ გამოცდებზე ხარისხიანი მომზადებისათვის. სტუდენტები თვლიან რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა დაძლევადია მათთვის.

- **ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა:**

სასწავლო კურსებზე სტუდენტთა დასწრებისა და აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი იყო კარგი, სტუდენტებს მოსწონთ აკადემიური გარემო და პროფესურა; კმაყოფილებას გამოთქვამენ ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ხარისხის გამო, სტუდენტები თვლიან რომ ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა დაძლევადია მათთვის.

- **სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა**

სასწავლო კურსებზე სტუდენტთა დასწრებისა და აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი იყო საშუალო, სტუდენტებს მოსწონთ აკადემიური გარემო და პროფესურა, მაგრამ საშუალო აკადემიურ მოსწრებას ისინი ხსნიან იმით, რომ სკოლის საგანმანათლებლო პროგრამა იყო გაცილებით მარტივი და რთული მასალები სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებში მათთვის არ არის ადვილი დასაძლევ. ისინი კმაყოფილებას გამოთქვამენ ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ხარისხის გამო, სტუდენტები თვლიან, რომ

სისტემატური მეცადინეობისა და მომზადების პროცესში სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა დაძლევადი იქნება მათთვის.

- **პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული კვლევების ანალიზი**

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა:

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა ანალიზი. რესპოდენტებმა გამოთქვეს სურვილი გამრავალფეროვნდეს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკი მარკეტინგისა და ტურიზმის მიმართულებებით, აგრეთვე უფრო მეტი ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო კურსი (მაგ. ფსიქოლოგია, სოციოლოგია) ჩაერთოს პროგრამაში საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში. რაც შეეხება აკადემიურ პერსონალს, მათ გამოთქვეს სურვილი გადავიდეს სასწავლო პროცესი 2 შუალედური გამოცდიდან ერთ შუალედურ გამოცდაზე, ხოლო ფინალური გამოცდები დაინერგოს ზეპირი გამოკითხვის კომპონენტი.

- **ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა:**

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა შედეგების ანალიზი. სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი გამრავალფეროვნდეს არჩევითი სასწავლო კურსები, აგრეთვე უფრო მეტი ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო კურსი (მაგ. ფსიქოლოგია, სოციოლოგია) ჩაერთოს პროგრამაში. რაც შეეხება აკადემიურ პერსონალს, მათ გამოთქვეს სურვილი გადავიდეს სასწავლო პროცესი 2 შუალედური გამოცდიდან ერთ შუალედურ გამოცდაზე.

- **სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა**

სტუდენტებთან ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა შედეგების ანალიზი. სტუდენტებმა გამოთქვეს სურვილი შეიცვალოს საუნივერსიტეტო სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა უფრო მეტი პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებისა და წარმატთვის მიზნით. რაც შეეხება აკადემიურ პერსონალს, მათ გამოთქვეს სურვილი სასწავლო პროცესში ჩართონ და გამოიყენონ უფრო მეტი თვალსაჩინოება მულიაქების სახით.

- **სასწავლო კურსების შეფასების მიზნით ჩატარებული კვლევები**

საანაგრიშო პერიოდში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა კვლევები, რომელშიც ერთობლივი აკადემიური ურთიერთობების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სასწავლო კურსების შეფასების მიზნით მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის სტუდენტებმა, პროფესორამ და ადმინისტრაციულმა პერსონალმა.

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებმა, პროფესორამ და ადმინისტრაციულმა პერსონალმა. ანონიმური კვლევების ფარგლებში შეავსეს კითხვარები. კვლევა ჩატარდა ფოკუს ჯგუფების რესპოდენტების მეშვეობით, კითხვებზე დასმული პასუხების შეფასება მოხდა ხუთბალიანი შეფასების სისტემით.

	სასწავლო კურსი	ლექციების ინფორმაციული ბა	მეც. პრეტ. ხარისხი	ლექტორის კონტაქტი აუდიტორიასთან	პროფესორის დახმარების მარჯვენა	შეფასების კრიტერიუმების სიმართლი	სტუდენტის ობიექტურად შეფასება	ძირითადი ლიტერატურის ხელმისაწვდომობა	გამოყოფილი საათების საკმარისობა	სიორთულე ლექტორთან ურთიერთობისა
1	ადამიანის ანატომია 1	5	4	4	4	5	5	5	5	0
2	ადამიანის ანატომია 2	5	4	4	4	5	5	5	5	0
3	ზოგადი ჰისტოლოგია	5	5	5	5	5	5	4	5	0
4	კერძო ჰისტოლოგია	5	5	5	5	5	5	4	5	0
5	საქართველოს ისტორია	5	5	4	5	5	5	4	5	0
6	აკადემიური წერა	5	5	5	5	5	5	4	4	0
7	სამედიცინო ბიოლოგია	5	5	5	5	5	5	4	5	0
8	ინფორმაციული ტექნოლოგიები	5	4	4	4	4	4	4	4	0
9	მედიცინის ისტორია	4	3	4	5	5	3	4	5	0
10	სამედიცინო ბიოქიმია 1	5	4	5	5	5	5	3	5	0
11	ადამიანის ფიზიოლოგია 1	5	5	5	5	5	5	4	5	0
12	ადამიანის ფიზიოლოგია 2	5	5	5	5	5	5	4	5	0
13	სამედიცინო ბიოქიმია 2	5	4	5	5	5	5	3	5	0
14	სამედიცინო	5	5	5	5	5	5	3	5	0

	გენეტიკა									
15	ინგლისური ენა 1	5	4	5	5	5	5	5	5	0
16	ინგლისური ენა 2	5	4	5	5	5	5	5	5	0
17	ლათინური ენა	5	4,5	5	5	5	5	5	5	0

სასწავლო კურსების კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები თვლიან, რომ სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლის მეთოდები ადექვატურია, სააუდიტორიო დატვირთვა კურსის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს, კურსის შედეგების მისაღწევად, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისათვის გამოყოფილი საათები ადექვატურია; სტუდენტთა შეფასების სისტემა ობიექტური და გამჭვირვალე, რომელიც ადექვატურად ასახავს მის მიერ შეძენილ ცოდნას. სტუდენტები კმაყოფილნი არიან სასწავლო კურსების წამყვანი პროფესორის ლექციებით, ისინი მაღალ შეფასებას აძლევენ ლექტორებს, თვლიან რომ პრაქტიკული მეცადინეობის ხარისხი კარგია, კომუნიკაცია ლექტორებსა და სტუდენტებს შორის მჭიდროა და კონსტრუქციული. სასწავლო კურსების პრაქტიკულ მეცადინეობებზე გამოყოფილი საკონტაქტო საათები საკმარისია; სტუდენტები ღებულობენ ამომწურავ ინფორმაციებს წამოჭრილ საკითხებზე; შეფასების კრიტერიუმები ადექვატურია; რას შეეხება სასწავლო კურსების სავალდებულო და არჩევით ლიტერატურას, სტუდენტებს აქვთ სურვილი ბიბლიოთეკაში იყოს ზოგიერთი სახელმძღვანელოს უფრო მეტი რაოდენობა, რომ ყველამ შეძლოს სახლში მათი გატანა მთელი სემესტრის მანძილზე.

დასახული ღონისძიებები:

- დაემატოს ბიბლიოთეკაში სახელმძღვანელოების რაოდენობა;
- მოხდეს ელექტრონული წიგნების დამატება;
- მოხდეს მეტი თვალსაჩინოებებით და სასწავლო მასალებით პროგრამის უზრუნველყოფა.
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების მიერ ანონიმური კვლევების ფარგლებში შეავსებული კითხვარების ანალიზით დადგინდა შემდეგი შედეგები:

	სასწავლო კურსი	ლექციების ინფორმაცია	პრქტ. მეც.	ლექტორის კონტაქტი	პროფესორის	შეფასების კრიტერიუმი	სტუდენტი	ძირითადი ლიტერატურის	გამოყოფილი	ლექტორის კომუნიკაცია
1	კონფლიქტების	5	5	4	5	5	5	4	5	5

	მართვა									
2	ინფორმაციული ტექნოლოგიები	5	4	4	5	5	5	4	5	5
3	აკადემიური წერა	5	5	4	5	5	5	4	5	5
4	საქართველოს ისტორია	5	5	4	5	5	5	4	5	5
5	ინოვაციების მენეჯმენტი	5	4	4	4	4	4	4	5	5
6	მარკეტინგის საფუძვლები	4	3	4	5	5	3	4	5	5
7	საგადასახადო საქმე	5	4	5	3	5	5	3	5	5
8	სადაზღვევო საქმე	5	5	5	5	4	5	3	5	5
9	ბიზნეს ეთიკა	5	4	4	5	5	5	5	5	5
10	უცხო ენა ინგლისური 1	5	4,5	5	5	4	5	5	5	5
11	უცხო ენა ინგლისური 2	5	4,5	5	5	4	5	5	5	5
12	უცხო ენა ინგლისური 3	5	4,5	5	5	4	5	5	5	5
13	უცხო ენა ინგლისური 4	5	4,5	5	5	4	5	5	5	5
14	ფინანსების თეორია	5	4	5	3	5	5	3	5	5
15	ფინანსების საფუძვლები	4	5	5	5	5	4	3	5	5
16	კალკულუსი 1	5	4	5	5	5	5	5	5	5
17	კალკულუსი 2	5	4	5	5	5	5	5	5	5
18	საქმიანი ურთიერთობები და ეტიკეტი	5	5	5	5	5	5	5	5	5
19	მიკროეკონომიკის საფუძვლები	5	5	5	4	5	5	4	5	5
20	მაკროეკონომიკის საფუძვლები	4	4	5	3	5	5	3	5	5
21	ბიზნესის საფუძვლები	5	5	5	5	5	5	3	5	4
22	ბულტერიის საფუძვლები	4	5	5	4	5	4	5	5	5
23	მცირე ბიზნესის საფუძვლები	5	5	4	4	5	4	5	5	5
	სტატისტიკა	4	5	5	4	5	4	5	5	5

8	გერმანული ენა 4	5	5	5	5	5	5	5	5	5
9	ეგზისტენციალური ლიტერატურა	5	4	5	5	5	5	4	5	5
10	ინგლისური ენის ლექსიკოლოგია	5	4,5	5	4,5	5	5	5	5	5
11	ინგლისური ლიტერატურის ისტორია 1	5	5	5	5	5	5	4	5	5
12	ინგლისური ლიტერატურის ისტორია 2	5	5	4	5	5	5	4	5	5
13	ინგლისური ლიტერატურის ისტორია 3	5	5	5	5	5	5	3	5	5
14	ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი	5	5	5	5	5	5	4	5	5
15	ლიტერატურის თეორია	5	5	5	5	5	4	5	5	5
16	თეორიული გრამატიკა	5	4	5	5	5	5	3	4	5
17	ბიზნეს ინგლისური	5	5	5	5	5	5	5	5	5

სასწავლო კურსების კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები კმაყოფილნი არიან მეორე სემესტრის სასწავლო კურსების წამყვანი პროფესორის ლექციებით, ისინი მაღალ შეფასებას აძლევენ ლექტორებს, თვლიან რომ პრაქტიკული მეცადინეობის ხარისხი კარგია, კომუნიკაცია ლექტორებსა და სტუდენტებს შორის მჭიდროა და კონსტრუქციული. სასწავლო კურსებზე გამოყოფილი საკონტაქტო საათები საკმარისია; სტუდენტები დებულობენ ამომწურავ ინფორმაციებს წამოჭრილ საკითხებზე; მათ ცოდნა ფასდება ობიექტურად, შეფასების კრიტერიუმები ადექვატურია; რას შეეხება სასწავლო კურსების სავალდებულო და არჩევით ლიტერატურას, სტუდენტებს აქვთ სურვილი ბიბლიოთეკაში იყოს უცხოური ლიტერატურის უფრო დიდი არჩევანი.

ზემოთაღნიშნული კვლევების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი, რომელსაც უძღვებოდა უნივერსიტეტის არჩეული და მოწვეული აკადემიური პერსონალი საანაგრიშო პერიოდში ჩავთვალოთ დამაკმაყოფილებლად.

დასახული ღონისძიებები

დაიხვეწოს და გამრავალფეროვნდეს კითხვარები უფროა ღრმა კვლევების განსახორციელებლად, შემოვიდეს შეფასების მაჩვენებლებში უფრო მეტი რიცხვი, რომ მოხდეს რაოდენობრივი დამუშავება უფრო მაღლი ხარისხით, რაც შემდგომ შესაფასებელი მასალის თვისობრივი შეფასების უფრო მეტ საშუალებას მოგვცემს.